



აუდიტორების აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“გამტკიცებ“

სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული
ანალიზის დეპარტამენტის უფროსი

ცოტნე ქარქაშაძე

“6” თებერვალი 2019 წელი

N 23/36

გვ: N: 1

მდგრადი განვითარების მიზნების
განხორციელების მზადყოფნა

საჩივრი

დიაგრამები.....	3
გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები	4
შემაჯამებელი მიმოხილვა	6
1. შესავალი	9
1.1 აუდიტის მოტივაცია.....	11
1.2 აუდიტის მიზანი და მთავარი კითხვები	12
1.3 აუდიტის კრიტერიუმები	12
1.4 აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია	13
2. ზოგადი ინფორმაცია.....	15
3. აუდიტის მიგნებები	17
3.1 2030 წლის დღის წესრიგის ეროვნულ კონტექსტში ინტეგრირების პროცესში არსებული ნაკლოვანებები	17
დასკვნა	26
რეკომენდაციები	27
3.2 SDG-ების განხორციელების მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების კუთხით არსებული ნაკლოვანებები	28
დასკვნა	33
რეკომენდაციები	33
ბიბლიოგრაფია	34

დიაგრამები

დიაგრამა 1. მდგრადი განვითარების მიზნები	9
დიაგრამა 2. SDG-ების კლასიფიკაცია მიმართულებების მიხედვით	10
დიაგრამა 3. ძირითადი განსხვავებები SDG-ებსა და MDG-ებს შორის.....	11
დიაგრამა 4. მიზნების კოორდინაცია სახელმწიფოს დონეზე	15
დიაგრამა 5. SDG-ების მატრიცის კომპონენტები.....	16
დიაგრამა 6. SDG-ების მატრიცაში წარმოდგენილი ინდიკატორების შესაბამისობა სამინისტროების საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებში წარმოდგენილ ინდიკატორებთან	19
დიაგრამა 7. შვედეთის პრაქტიკა SDG-ების ინტეგრირებასთან დაკავშირებით	19
დიაგრამა 8. ბრაზილიის პრაქტიკა მაკოორდინირებელ უწყებასთან დაკავშირებით	22
დიაგრამა 9. მიზნები, რომელთა შესაბამის ინდიკატორებთან მიმართებაში განმახორციელებელი უწყება ან საქართველოს მთავრობაა, ან იდენტიფიცირებული არ არის	23
დიაგრამა 10. ამოცანა 8.5-სა და განათლების (4.4), უთანასწორობისა (10.4) და შიმშილის (2.3) ამოცანებს შორის არსებული ორმხრივი ურთიერთკავშირები.....	25
დიაგრამა 11. SDG-ების მატრიცაში საბაზისო ინდიკატორებისა და მონაცემთა წყაროების კუთხით არსებული ნაკლოვანებები მიზნების მიხედვით.....	29
დიაგრამა 12. დანიის პრაქტიკა მონაცემებთან დაკავშირებით	30
დიაგრამა 13. ბელგიისა და დანიის პრაქტიკები SDG-ების შესრულების მონიტორინგისა და ანგარიშგების შესახებ	31
დიაგრამა 14. შვეიცარიისა და კანადის პრაქტიკები SDG-ებთან დაკავშირებული ინფორმაციის წარმოდგენასთან დაკავშირებით	32

გამოყენებული ტერმინები და შემოკლევები

CSOs – სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ორგანიზაციები

GAP ანალიზი – ნაკლოვანებების ანალიზი

EU – ევროკავშირი

INTOSAI – უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუციების საერთაშორისო ორგანიზაცია

INTOSAI IDI – უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუციების საერთაშორისო ორგანიზაციის განვითარების ინიციატივა

MDGs – ათასწლეულის განვითარების მიზნები

RACI¹ ანალიზი – დაინტერესებული მხარეების პასუხისმგებლობების გადანაწილების ანალიზი

SDGs – მდგრადი განვითარების მიზნები

USAID – ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო

¹ Responsible, Accountable, Consulted, and Informed – RACI.

SDG-ების განხილვისათვის მზადყოფნა

- 

SDG-ების მატრიცა ეროვნულ დოკუმენტებში არასრულადაა ინტეგრირებული
- 

SDG-ების საბჭო და სამუშაო ჯგუფები არ მოიცავს ყველა დაინტერესებულ მხარეს
- 

მიზნებს შორის ურთიერთკავშირები სუსტადაა გამოვლენილი და ნაკლოვანებებია პასუხისმგებელი უწყებების განსაზღვრაში
- 

მიზნების განხორციელებისათვის საჭირო რესურსების მოცულობა იდენტიფიცირებული არ არის
- 

SDG-ების შეფასების ინდიკატორების საბაზისო მონაცემები და მონაცემთა წყაროები არ არის სრულად განსაზღვრული
- 

ანგარიშგებისა და მონიტორინგის მექანიზმი პრაქტიკაში არ არის დანერგილი
- 

ინფორმაცია მიზნების შესახებ არ არის ხელმისაწვდომი

შემაჯავებელი მიმოხილვა

საქართველო, გაეროს სხვა ქვეყნებთან ერთად, ჩართულია გაეროს 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელების პროცესში. 2030 წლის დღის წესრიგი აერთიანებს 17 მდგრად განვითარების მიზანს (SDGs) და მოიცავს მდგრადი განვითარების სამივე მიმართულებას: სოციალურს, ეკონომიკურსა და გარემოსდაცვითს. SDG-ები, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, მიზნად ისახავს სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრას, უთანასწორობის შემცირებას, მშვიდობიანი, სამართლიანი საზოგადოებების მშენებლობას, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფასა და ბუნებრივი რესურსების დაცვას.

მიზნები ამბიციური და ურთიერთდაკავშირებული ბუნებისაა, შესაბამისად, მათი წარმატებული და დროული მიღწევა კომპლექსური პროცესია და მრავალმხრივ ჩართულობას საჭიროებს. მათ შორის, კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებს, რომელთაც თავიანთი მანდატისა და როლის გათვალისწინებით, შეუძლიათ არსებითი წვლილი შეიტანონ SDG-ების განხორციელების ყველა ეტაპზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აუდიტის ფარგლებში შეისწავლა, რამდენად მზად არის ქვეყანა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. კერძოდ, შეფასდა, გატარდა თუ არა შესაბამისი ღონისძიებები მთავრობის მიერ (ა) მიზნების განხორციელების მზადყოფნის უზრუნველსაყოფად და (ბ) მონიტორინგისა და ანგარიშგების ჩარჩოს შესაქმნელად.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ მთავრობის მიერ გადაიდგა მნიშვნელოვანი საწყისი ნაბიჯები 2030 წლის დღის წესრიგის ეროვნულ კონტექსტში ინტეგრირების, მონიტორინგისა და ანგარიშგების ჩარჩოს ფორმირების მიმართულებით. კერძოდ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით შეიქმნა SDG-ების განხორციელების მაკოორდინირებელი უწყება – SDG-ების საბჭო და თემატური სამუშაო ჯგუფები, რომლებიც დახმარებას უწევენ საბჭოს. ამასთანავე, შემუშავდა 2030 წლის დღის წესრიგის ეროვნული დოკუმენტი – SDG-ების მატრიცა, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრა ეროვნული ამოცანები და შეფასების ინდიკატორების, საბაზისო მონაცემებისა და მონაცემთა წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი. გარდა ამისა, გატარდა ღონისძიებები ამოცანებზე პასუხისმგებელი უწყებების განსაზღვრის კუთხით და მიმდინარეობს მუშაობა მიზნების მიღწევის მონიტორინგისა და ანგარიშგების ვებპორტალის პრაქტიკაში დანერგვის მიმართულებით.

მიუხედავად მთავრობის მიერ განხორციელებული აქტივობებისა, აუდიტის შედეგად გამოვლინდა გარკვეული ნაკლოვანებები, რომელთა აღმოფხვრა საჭიროა მიზნების დროულად და წარმატებით მისაღწევად.

2030 წლის დღის წესრიგის ეროვნულ კონტექსტში ინტეგრირების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებები:

- მიმდინარე მდგომარეობით, მთავრობას SDG-ების მატრიცისათვის არ მიუცია ფორმალური სახე;
- SDG-ების მატრიცის ფარგლებში განსაზღვრული მიზნები, ამოცანები და ინდიკატორები ფრაგმენტულად არის ინტეგრირებული 2019-2022 წლების BDD-ში, სტრატეგიულ დოკუმენტებში, სამინისტროების 2019-2022 წლების საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებში, 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამულ დანართში, მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების დოკუმენტში;



- SDG-ების საბჭო და თემატური სამუშაო ჯგუფები არ მოიცავს ყველა რელევანტურ მხარეს. ამასთანავე, არ არის განსაზღვრული სამუშაო ჯგუფებში ჩართული კონკრეტული მხარეები და ამ ჯგუფებში მათი როლები. SDG-ების საბჭოსა და სამუშაო ჯგუფებს არ აქვთ გაცხადებული სამოქმედო გეგმები;
- რიგ შემთხვევაში არ არის განსაზღვრული თითოეული ამოცანის/ინდიკატორის მიღწევაში ჩართული მხარეები და მათი უშუალო პასუხისმგებლობები. ამასთანავე, ფრაგმენტულად არის იდენტიფიცირებული კავშირები SDG-ების ფარგლებში განსაზღვრულ ამოცანებს შორის;
- მიზნების განხორციელებისათვის საჭირო რესურსების მოცულობა მიმდინარე მდგომარეობით შეფასებული არ არის.

SDG-ების განხორციელების მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების კუთხით გამოვლენილი ნაკლოვანებები:

- SDG-ს მატრიცაში არასრულადაა იდენტიფიცირებული საბაზისო მონაცემები და მონაცემთა წყაროები;
- განსაზღვრული არ არის არც განმახორციელებელი ორგანიზაციების საბჭოსადმი და არც საბჭოს მიერ ანგარიშგების ფორმატი და პერიოდულობა;
- SDG-ების შესახებ გამჭვირვალობის სათანადო დონე უზრუნველყოფილი არ არის, ვინაიდან დაინტერესებულ მხარეებს არ მიეწოდება ერთიანი ინფორმაცია 2030 წლის დღის წესრიგის, SDG-ების მატრიცის, მასში წარმოდგენილი მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

აუდიტის ფარგლებში გამოვლენილი ნაკლოვანებები ქმნის რისკებს მიზნების ინკლუზიური, დროული და წარმატებული მიღწევის კუთხით. შესაბამისად, არსებული გამოწვევების საპასუხოდ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელთა შესრულება ხელს შეუწყობს მიზნების განსახორციელებლად შესაბამისი ფუნდამენტის ფორმირებას.

რეკომენდაციები:

SDG-ების საბჭოს:

1. მდგრადი განვითარების მიზნების უნივერსალური და ინკლუზიური ბუნების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მათი განხორციელების პროცესში ჩართული იყოს როგორც ცენტრალური, ასევე – ადგილობრივი ხელისუფლება. შესაბამისად, საბჭომ უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტების ჩართვა SDG-ების რეალიზაციის პროცესში;
2. SDG-ების მატრიცის ქმედითი ჩარჩო-დოკუმენტის ფუნქციის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია SDG-ების საბჭომ მოახდინოს მთავრობის მიერ დოკუმენტის მონონებისათვის საჭირო ღონისძიებების დროული ინიცირება;
3. SDG-ების საბჭოსა და თემატური სამუშაო ჯგუფების ინკლუზიურობისა და ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია:
 - ა) თემატურ სამუშაო ჯგუფებთან ერთად მოხდეს პროცესში მონაწილე ყველა რელევანტური მხარის იდენტიფიცირება, მათი ცნობიერების ამაღლება და ჩართულობის უზრუნველყოფა საბჭოსა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში, თემატიკიდან გამომდინარე;



ბ) თემატურ სამუშაო ჯგუფებთან ერთად განისაზღვროს ჩართული უწყებების/ორგანიზაციების როლები და პასუხისმგებლობები;

გ) შემუშავდეს SDG-ების საბჭოსა და თემატური სამუშაო ჯგუფების სამოქმედო გეგმები, სადაც წარმოდგენილი იქნება მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში განსახორციელებელი ღონისძიებები, ვადები და საჭირო რესურსები.

4. მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების დროული და ეფექტური მონიტორინგისა და ანგარიშგების მიზნით, SDG-ების საბჭომ შეიმუშაოს მონიტორინგისა და ანგარიშგების ჩარჩო, რაც გულისხმობს:

ა) მონიტორინგის ვებპორტალის დროულად დასრულებასა და პრაქტიკაში დანერგვას;

ბ) განმახორციელებელი ორგანიზაციების საბჭოს მიმართ ანგარიშგების ფორმატისა და პერიოდულობის განსაზღვრას;

გ) მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით ეროვნული პროგრესის შესახებ ანგარიშგების პერიოდულობის განსაზღვრას.

SDG-ების საბჭოსა და სამინისტროებს:

5. SDG-ების მატრიცაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, SDG-ების საბჭომ და სამინისტროებმა უზრუნველყონ:

ა) თითოეულ ამოცანაზე/ინდიკატორზე პასუხისმგებელი კონკრეტული უწყებების იდენტიფიცირება;

ბ) მიზნებს/ამოცანებს შორის ურთიერთკავშირების ხასიათისა და მასშტაბების ანალიზი, რომლის საფუძველზე განისაზღვრება კონკრეტული ამოცანის მიღწევაში თითოეული უწყების უშუალო პასუხისმგებლობა.

6. მიზნებისა და ამოცანების დროული, ეფექტიანი და შეუფერხებელი განხორციელებისათვის, SDG-ების საბჭომ და სამინისტროებმა, SDG-ების მიღწევის პროცესში ჩართულ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, გააანალიზონ და შეაფასონ მიზნების/ამოცანების რეალიზაციისათვის საჭირო რესურსები, მათ შორის: ადამიანური, ფინანსური, ICT ტექნოლოგიები და მონაცემები;

7. SDG-ების ფარგლებში განსაზღვრული ამოცანების შესრულების გამართული მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, SDG-ების საბჭომ და სამინისტროებმა, სხვა რელევანტურ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, უზრუნველყონ SDG-ების მატრიცის ყველა ინდიკატორის შესახებ კონკრეტული საბაზისო მონაცემისა და მონაცემთა წყაროს წარმოდგენა.

სამინისტროებს:

8. სამინისტროებმა უზრუნველყონ SDG-ების მატრიცაში წარმოდგენილი იმ მიზნების, ამოცანებისა და ინდიკატორების სტრატეგიულ და პოლიტიკის დოკუმენტებში, საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებსა და ბიუჯეტის პროგრამულ დანართში ინტეგრირება, რომელთა განხორციელებაში უშუალოდ არიან ჩართულნი.



1. შესავალი

გაერომ 2015 წლის სექტემბერში დაამტკიცა 2030 წლის დღის წესრიგი – მსოფლიოს ტრანსფორმაცია, რომელიც ფოკუსირებულია ადამიანებზე, მათ კეთილდღეობასა და გარემოზე ზრუნვაზე.

2030 წლის დღის წესრიგის მისწრაფებები ასახულია 17 მდგრად განვითარების მიზანსა (Sustainable Development Goals – SDGs; შემდგომში – მიზნები/SDG-ები) და 169 ამოცანაში. SDG-ები გლობალური ბუნებისა და ამბიციური ხასიათისაა და მდგრადი განვითარების სამ კრიტიკულ სფეროდ იყოფა: ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი.

დიაგრამა 1. მდგრადი განვითარების მიზნები



გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, SDG-ები აერთიანებს საკითხების ფართო და ყოვლისმომცველ სპექტრს. ისინი სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, მიზნად ისახავს სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრას, უთანასწორობის შემცირებას, მშვიდობიანი, სამართლიანი საზოგადოებების მშენებლობას, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფასა და ბუნებრივი რესურსების დაცვას.



დიაგრამა 2. SDG-ების კლასიფიკაცია მიმართულებების მიხედვით



SDG-ები ათასწლეულის განვითარების მიზნებს (Millennium Development Goals - MDGs) ეფუძნება, რომელთა შესრულება 2000-2015 წლებში იყო დაგეგმილი. MDG-ები აერთიანებდა 8 კონკრეტულ მიზანს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ემსახურებოდა სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრას, პირველადი განათლების ხელმისაწვდომობას, გენდერული უთანასწორობისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას. აღნიშნული მიზნების განხორციელების პროცესში, გაეროს სხვა ქვეყნებთან ერთად, საქართველოც იყო ჩართული.


MDG-ების ფარგლებში ვერ მოხერხდა ყველა დასახული მიზნის სრულყოფილად მიღწევა; მათი შესრულების ვადის ამოწურვისას მნიშვნელოვანი გამოწვევები ისევ იდგა მსოფლიოს წინაშე. აღნიშნული ძირითადად განაპირობა: (ა) MDG-ების შემუშავებისას დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ნაკლებობამ; (ბ) ამოცანებისა და ინდიკატორების არასრულმა მონიტორინგმა; (გ) მდგრადი განვითარებისათვის კრიტიკული ასპექტების მიზნებს მიღმა დატოვებამ; (დ) მიზნების გაზომვისათვის საჭირო მონაცემების სიმწირემ.²

² https://ceowatermandate.org/files/mumbai/Josefina_Maestu%20_Mandate_Mumbai.pdf



ერთი მხრივ, MDG-ების საფუძველზე მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით და, მეორე მხრივ, უკეთესი შედეგების მიღწევის მიზნით, მსოფლიო შეთანხმდა შემდგომი თანამშრომლობის საჭიროებაზე. შესაბამისად, გაეროს მიერ MDG-ები ტრანსფორმირდა ყოვლისმომცველ და კომპლექსურ მდგრადი განვითარების მიზნებში. SDG-ები, MDG-ებისაგან განსხვავებით:

ფიგურა 3. ძირითადი განსხვავებები SDG-ებსა და MDG-ებს შორის



2015 წლის სექტემბერში SDG-ების ეროვნულ კონტექსტში ინტეგრირებასა და 2030 წლისათვის განხორციელებასთან დაკავშირებით მზადყოფნა გამოხატა გაეროს წევრმა 193-მა ქვეყანამ, მათ შორის, საქართველომ.

1.1 აუდიტის მოტივაცია

SDG-ები ყოვლისმომცველი, ურთიერთდაკავშირებული და გრძელვადიანი ბუნებისაა. აქედან გამომდინარე, მათი დროული და ეფექტიანი განხორციელება მთავრობების მხრიდან სათანადო მომზადებას საჭიროებს, რაც გულისხმობს:

- მიზნების ეროვნულ კონტექსტში ინტეგრირებას;
- SDG-ების განხორციელებისათვის საჭირო რესურსების იდენტიფიცირებას;
- მონიტორინგისა და ანგარიშგების ჩარჩოს ჩამოყალიბებას.

აღნიშნული ეტაპების წარმატებული შესრულება კომპლექსური პროცესია და სირთულეებთან არის დაკავშირებული. უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებს, თავიანთი როლიდან და საქმიანობიდან გამომდინარე, შესაძლებლობა აქვთ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ პროცესების სწორად წარმართვაში საწყისი ეტაპიდანვე. აღნიშნული ღიად არის დეკლარირებული სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, კერძოდ:

- გაეროს რეზოლუციების მიხედვით,³ უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებს დიდი როლი აკისრიათ ეფექტიანი, გამჭვირვალე, ინკლუზიური და ანგარიშვალდებული საჯარო მმართველობის ფორმირებაში, რისი მიღწევა, თავის მხრივ, SDG-ების ნარმატებით განხორციელების ერთ-ერთი კრიტერიუმია;
- უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუციების საერთაშორისო გაერთიანების ორგანიზაცია (INTOSAI) უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებს სტრატეგიული მნიშვნელობის უწყებებად განიხილავს, რომელთაც თავიანთი როლისა და მანდატის გათვალისწინებით, შეუძლიათ არსებითი წვლილი შეიტანონ SDG-ების განხორციელების, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესში.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 12) მიხედვით, უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების მიზანია ქვეყნის მოსახლეობის, მშვიდობიანი მმართველობისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ხელშეწყობა, რაც იმთავითვე იზიარებს SDG-ების მისწრაფებას.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, INTOSAI-ს განვითარების ინიციატივის (IDI) მიერ შემუშავდა საერთაშორისო პროგრამა, რომლის ფარგლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, 70-ზე მეტ სხვა უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციასთან ერთად, შეისწავლა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები.

1.2 აუდიტის მიზანი და მთავარი კითხვები

აუდიტის მიზანია ეროვნულ დონეზე განხორციელების მზადყოფნის შეფასება და მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა. აღნიშნული ემსახურება მიზნების ეროვნულ კონტექსტში ინტეგრირების პროცესის შემდგომ დახვეწასა და მათი წარმატებული განხორციელებისათვის სათანადო ფუნდამენტის ფორმირების ხელშეწყობას.

სახელმწიფოს მიერ მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მზადყოფნის შესაფასებლად, პასუხები გაეცა შემდეგ კითხვებს:

- გატარდა თუ არა შესაბამისი ღონისძიებები მიზნების განხორციელების მზადყოფნის უზრუნველსაყოფად;
- გატარდა თუ არა შესაბამისი ღონისძიებები მიზნების განხორციელების მონიტორინგისა და ანგარიშგების ჩარჩოს შესაქმნელად.

1.3 აუდიტის კონსენსუსი

აუდიტის მიმდინარეობისას შეფასების კრიტერიუმებად აუდიტის ჯგუფმა გამოიყენა გაეროსა და INTOSAI-ს მიერ შემუშავებული დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და უკეთესი პრაქტიკის მაგალითები:

³ გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციები: 66/309, 69/228, 69/327.



- 2030 წლის დღის წესრიგი, მსოფლიოს ტრანსფორმაცია – გაერო;
- 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის – გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) 2015;
- მდგრადი განვითარების მიზნები რეალობაში – სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკები და გაეროს მხარდაჭერა – გაეროს განვითარების გუნდი (UNDG) 2016;
- ინსტიტუციონალიზაციისა და კოორდინაციის მექანიზმები – გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP);
- სექტორული თანამშრომლობა SDG-ების მიღწევისათვის – გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ECOSOC);
- INTOSAI IDI-ს სახელმძღვანელო SDG-ების განხორციელების მზადყოფნის აუდიტთან დაკავშირებით;
- ნებაყოფლობითი ეროვნული ანგარიშები 2016/2017.⁴

1.4 აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია

აუდიტის ობიექტებად განისაზღვრა შემდეგი სახელმწიფო ორგანოები:

- მთავრობის ადმინისტრაცია – SDG-ების საბჭო;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

გემოაღნიშნული სამინისტროების შერჩევის საფუძველი იყო SDG-ების ფართო დაფარვის უზრუნველყოფა. კერძოდ, შერჩეული სამინისტროების ფუნქციები ვრცელდება მდგრადი განვითარების სამივე: ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი მიმართულებებით. ამასთანავე, აღნიშნული სამინისტროების ქვეშ ერთიანდება 15 მიზანი (17 გლობალური მიზნიდან)⁶ და 68 – ეროვნული ამოცანა (94 ეროვნული ამოცანიდან).⁷ შესაბამისად, აუდიტის მასშტაბის მოცულობიდან გამომდინარე, ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგები იძლევა წარმომადგენლობით სურათს SDG-ების განხორციელებაში ჩართული ყველა უწყების შესახებ.

⁴ მიზნების განხორციელებაში ჩართული ქვეყნები გაეროს ყოველწლიურად წარუდგენენ ნებაყოფლობით ანგარიშებს (Voluntary National Reviews) მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებით არსებული პროგრესის შესახებ.

⁵ SDG-ების საბჭო მიზნების განხორციელების მაკოორდინირებელი ორგანოა. დეტალური ინფორმაცია SDG-ების საბჭოს შესახებ წარმოდგენილია შესაბამის ქვეთავში.

⁶ აუდიტის ფარგლებში იფარება ყველა მიზანი, გარდა მიზნებისა: 6 – სუფთა წყალი და ჰიგიენა და 17 – გლობალური თანამშრომლობა და შესაბამისი 68 ეროვნული ამოცანა, 94 ეროვნული ამოცანიდან, რომლებიც შემუშავდა SDG-ების მატრიცის ფარგლებში, გლობალური ამოცანებიდან გამომდინარე. მიმდინარე მდგომარეობით, SDG-ების მატრიცა არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

⁷ მონაცემები ეყრდნობა SDG-ების მატრიცას 2018 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მატრიცა ცოცხალი დოკუმენტია და მასში პერიოდულად ხორციელდება ცვლილებები.



აუდიტის შესწავლის საგანია SDG-ების საბჭოსა და ზემოაღნიშნული სამინისტროების მიერ 2030 წლის დღის წესრიგის ეროვნულ/ინსტიტუციურ კონტექსტში ინტეგრირების მიზნით 2016 წლიდან 2018 წლის დეკემბრამდე განხორციელებული აქტივობები.

აუდიტის პროცესში აუდიტის ჯგუფმა იხელმძღვანელა ანალიზის შემდეგი მეთოდოლოგიით:

- აუდიტის ობიექტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
- გასაუბრებები აუდიტის ობიექტებთან;
- სამუშაო შეხვედრების ოქმების შინაარსობრივი ანალიზი;
- დაინტერესებული მხარეების პასუხისმგებლობების გადანაწილებისა (RACI)⁸ და არსებული ნაკლოვანებების (GAP) ანალიზები;
- საერთაშორისო პრაქტიკებისა და სტანდარტების შესწავლა.

⁸ RACI ანალიზის მეშვეობით, შესაძლებელია იდენტიფიცირება, თუ როგორ არის გადანაწილებული სხვადასხვა დაინტერესებული მხარის პასუხისმგებლობები, კერძოდ, R (Responsible) – ღონისძიებების განმახორციელებელი მხარე, A (Accountable) – გადაწყვეტილებების მიმღები მხარე, C (Consulted) – მხარე, ვისთანაც მყარდება კომუნიკაცია გადაწყვეტილებების მიღებამდე, I (Informed) – მხარე, რომელსაც მიეწოდება ინფორმაცია მიღებული გადაწყვეტილებებისა და განხორციელებული აქტივობების შესახებ.



2. ზოგადი ინფორმაცია

SDG-ების ეროვნულ კონტექსტში გადმოტანის პროცესი 2015 წელს დაიწყო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით. მთავრობის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია მიზნების ინტეგრირებაზე, კოორდინაციასა და მონიტორინგზე. კერძოდ, 2016 წლიდან ადმინისტრაციის კოორდინირებით შეიქმნა არაფორმალური სამუშაო ჯგუფი სამინისტროებისა და გაეროს სააგენტოების წარმომადგენლების მონაწილეობით. ჯგუფის ფუნქცია იყო მდგრადი განვითარების მიზნების შერჩევა და შესაბამისი ინდიკატორების შემუშავება. მოგვიანებით კი, პრემიერ-მინისტრის ბრძანების საფუძველზე, 2017 წლის 2 მაისს ჩამოყალიბდა „საჯარო მმართველობის რეფორმისა და მდგრადი განვითარების მიზნების საბჭო“ (შემდგომში – SDG-ების საბჭო/საბჭო).

საბჭოს მიზანია, კომპეტენციის ფარგლებში, საჯარო მმართველობის რეფორმისა და მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობა. საბჭოს ხელმძღვანელობს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი. ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვის და კოორდინაციის დეპარტამენტის პოლიტიკის დაგეგმვის სამსახური კი საბჭოს სამდივნოს ფუნქციებს ასრულებს და უზრუნველყოფს საბჭოს ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და ლოგისტიკურ მხარდაჭერას.

ამასთანავე, SDG-ების საბჭომ შექმნა 4 თემატური სამუშაო ჯგუფი:

- სოციალური ჩართულობის;
- ეკონომიკური განვითარების;
- დემოკრატიული მმართველობის;
- მდგრადი ენერგიისა და გარემოსდაცვის.

აღნიშნული ჯგუფების მიზანია SDG-ებისა და მათთან დაკავშირებული თემების სტრატეგიული დაგეგმვის, განხორციელებისა და ეფექტური მონიტორინგის უზრუნველყოფა. ისინი ანგარიშვალდებული არიან SDG-ების საბჭოს წინაშე. აღნიშნული მიზნების მისაღწევად, პერიოდულად იმართება თემატური სამუშაო ჯგუფების შეხვედრები.

დიაგრამა 4. მიზნების კოორდინაცია სახელმწიფოს დონეზე



SDG-ების საბჭო

მაკოორდინირებელი ორგანო

პოლიტიკის დაგეგმვის სამსახური

საბჭოს სამდივნო

თემატური სამუშაო ჯგუფები


სტრატეგიული დაგეგმვა,
განხორციელება და ეფექტიანი
მონიტორინგი

⁹ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2017 წლის 2 მაისის N118 ბრძანება „საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2016 წლის 3 მაისის N135 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“.



SDG-ების საბჭომ, სექტორულ სამინისტროებთან, სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებთან და გაეროს ადგილობრივ წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავა SDG-ების მატრიცა – მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი. იგი მოიცავს 2030 წლის დღის წესრიგიდან გამომდინარე საქართველოს კონტექსტში გადმოტანილ: მდგრადი განვითარების მიზნებს, გლობალურ და ეროვნულ ამოცანებსა და ინდიკატორებს, საბაზისო მონაცემებს, მონაცემთა წყაროებსა და განმახორციელებელ უწყებებს.

დიაგრამა 5. SDG-ების მატრიცის კომპონენტები



3. აუდიტის მიზნები

3.1 2030 წლის დღის წესრიგის ეროვნულ კონსტაქსტში ინტეგრირების პროცესში არსებული ნაკლოვანებები



3.1.1 SDG-ების გათხრობა სრულად ან არის ინტეგრირებული ეროვნულ დოკუმენტებში

SDG-ების წარმატებით განხორციელებისათვის, მათი ყოვლისმომცველი ბუნებიდან და გრძელვადიანი სასიცოცხლო ციკლიდან გამომდინარე, საჭიროა მთავრობის მიერ კომპლექსური ღონისძიებების გატარება, რათა მოხდეს მიზნების ეროვნულ კონტექსტში სრულყოფილად გადმოტანა, გაეროს მიერ მომზადებული სახელმძღვანელოს მიხედვით.¹⁰

აღნიშნული, პირველ რიგში, გულისხმობს 2030 წლის დღის წესრიგის ეროვნული დოკუმენტის შემუშავებას, ხოლო შემდგომში – მის ინტეგრირებას არსებულ სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიულ დოკუმენტებში და სამოქმედო გეგმებში. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რათა:

- იდენტიფიცირებული იქნეს განსხვავებები/შეუსაბამოებები 2030 წლის დღის წესრიგში დასახულ ამოცანებსა და დაგეგმილ ღონისძიებებს შორის და საფუძველი ჩაეყაროს ახალ აქტივობებს;
- SDG-ების განხორციელება იქცეს მიმდინარე პროცესების განუყოფელ ნაწილად, გახდეს უფრო კონკრეტული, სისტემური, გამჭვირვალე და ეფექტიანი.

¹⁰ Mainstreaming the 2030 Agenda for Sustainable Development, United Nations Development Group. October, 2015.



დადებითად უნდა შეფასდეს მთავრობის მიერ 2030 წლის დღის წესრიგის ეროვნული დოკუმენტის – SDG-ების მატრიცის შემუშავება, თუმცა, აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს სამუშაო ვერსიას და აუდიტის პერიოდში არ მომხდარა მთავრობის მიერ მისი დამტკიცება.

გაეროს ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოთი განსაზღვრული მეორე ეტაპი – 2030 წლის დღის წესრიგის ინტეგრირება ეროვნულ დოკუმენტებში, საქართველოს შემთხვევაში გულისხმობს SDG-ების მატრიცის ასახვას შემდეგ დოკუმენტებში:


- ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (შემდგომში – BDD), რომელიც ქვეყნის განვითარების საშუალოვადიანი სტრატეგიული გეგმაა;
- სექტორული სტრატეგიებისა და პოლიტიკის დოკუმენტები;
- სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები;
- სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დანართი;
- მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების დოკუმენტები და ა.შ.

მიუხედავად უწყებების მიერ გადადგმული გარკვეული ნაბიჯებისა, მიმდინარე მდგომარეობით, SDG-ების მატრიცა სრულად არ არის ინტეგრირებული ეროვნულ კონტექსტში. კერძოდ, დოკუმენტების შინაარსობრივი და შედარებითი ანალიზის შედეგად, გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

- SDG-ების მატრიცით განსაზღვრული ამოცანები და ინდიკატორები არ არის ასახული 2019-2022 წლების BDD-ში. შესაბამისად, BDD-ს ფარგლებში არ არის წარმოდგენილი კავშირი ქვეყნის საშუალოვადიან მიზნებსა და SDG-ებს შორის. აქედან გამომდინარე, აღნიშნული დოკუმენტი არ იძლევა SDG-ების მატრიცით აღებული ვალდებულებების იდენტიფიცირების საშუალებას;
- სამინისტროებმა SDG-ების მატრიცით განსაზღვრული მიზნების/ამოცანებისა და თავიანთი სტრატეგიული გეგმების, პოლიტიკის დოკუმენტებისა და პროგრამების ურთიერთშედარების საფუძველზე მოახდინეს მათ შორის არსებული ზოგადი კავშირების იდენტიფიცირება თუმცა, არ მომხდარა მიზნების/ამოცანების ცხადად ასახვა ამ დოკუმენტებში, გარდა რამდენიმე გამონაკლისი შემთხვევისა. მაგალითად, საქართველოს გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა, სადაც წარმოდგენილი გარემოსდაცვითი მიმართულებები, შესაბამისი გამოწვევები და გეგმები დაკავშირებულია SDG-ებთან და შესაბამის ამოცანებთან;

- ფრაგმენტულია თანხვედრა SDG-ების მატრიცაში წარმოდგენილ ინდიკატორებსა და სამინისტროების 2019-2022 წლების საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებსა და 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამულ დანართში წარმოდგენილ მაჩვენებლებს შორის. კერძოდ, SDG-ების მატრიცის შესწავლილი 68 ამოცანის შესაბამისი 124 ინდიკატორიდან, 28 ინდიკატორი¹¹ სრულად ან ნაწილობრივ შეესაბამება სამინისტროების საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებში მოცემულ ინდიკატორებს, ხოლო დანარჩენი 96 - არ არის თანხვედრაში. ამასთანავე, SDG-ების მატრიცაში წარმოდგენილი ინდიკატორები ძირითადად შეესაბამება პროგრამულ დანართში წარმოდგენილ იმ ინდიკატორებს, რომლებიც მატრიცის შემუშავებამდე უკვე გამოიყენებოდა სამინისტროების მიერ.

დიაგრამა 6. SDG-ების მატრიცაში წარმოდგენილი ინდიკატორების შესაბამისობა სამინისტროების საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებში წარმოდგენილ ინდიკატორებთან



- SDG-ების მატრიცა არ არის ინტეგრირებული მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების დოკუმენტებში. აღნიშნული დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ მუნიციპალიტეტები არ არიან ჩართული SDG-ების განხორციელების პროცესში.

დიაგრამა 7. შვედეთის პრაქტიკა SDG-ების ინტეგრირებასთან დაკავშირებით

2003 წელს შვედეთის პარლამენტმა დაამტკიცა დოკუმენტი „შვედეთის პოლიტიკა გლობალური განვითარებისათვის“, რომლის მიზანია ინკლუზიური და მდგრადი გლობალური განვითარება. აღნიშნული დოკუმენტის ბაზაზე შვედეთმა 2016 წელს შეიმუშავა 2030 წლის დღის წესრიგის შესაბამისი ეროვნული გეგმა. შემდეგ კი სამინისტროებმა მოამზადეს სამოქმედო გეგმები, რის შედეგად ყველა შესაბამისი მიზანი აისახა მათ აქტივობებში. ამასთანავე, სახელმწიფო ორგანოებმა აიღეს პასუხისმგებლობა, რომ მომდევნო წლების ბიუჯეტებში გაითვალისწინებენ SDG-ებს.¹²

¹¹ აღნიშნული ინდიკატორები ეხება მდგრადი განვითარების სამივე – ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით მიმართულებას.

¹² <https://sustainabledevelopment.un.org/memberstates/sweden>

SDG-ების მატრიცა წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტს, რომლის საფუძველზე უნდა მოხდეს მიზნების/ამოცანების ეროვნულ/ინსტიტუციურ კონტექსტში ინტეგრირება, ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

SDG-ების მატრიცაზე მთავრობის მიერ დროულად შეთანხმებისა და მისთვის ოფიციალური სახის მიცემის, ასევე ქვეყნის კონტექსტში – პოლიტიკის, ეროვნული, სექტორული და ლოკალური სტრატეგიის დოკუმენტებში, სამოქმედო გეგმებსა და პროგრამებში ინტეგრირების გარეშე, რისკის ქვეშ დგება SDG-ების დროული და წარმატებული განხორციელება.

3.1.2 SDG-ების საბჭო და საშუალო ჯგუფები არ მოიცავს ყველა დაინტერესებულ მხარეს და საშუალო ჯგუფების ფუნქციონირება ნაკლებანაბრით ხასიათდება

SDG-ების საბჭო

2030 წლის დღის წესრიგი მოითხოვს ეროვნულ დონეზე განისაზღვროს მაკოორდინირებელი უწყება, რომელიც უზრუნველყოფილია ადეკვატური რესურსებით და შედგება ყველა რელევანტური მხარისაგან. გაეროს განვითარების გუნდისა და გლობალური ინიციატივის მიხედვით,¹³ აღნიშნული ემსახურება (ა) ინტეგრირებული მიდგომების ჩამოყალიბებას, (ბ) კოლექტიური ანგარიშვალდებულებისა და (გ) საერთო ხედვის ფორმირებას ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის. ამასთანავე, მიზნების განხორციელების პროცესის გამართულად და ეფექტიანად წარმართვას ხელს უწყობს მაკოორდინირებელი უწყების მიერ სამოქმედო გეგმის შემუშავება განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პრემიერ-მინისტრის ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა მიზნების განხორციელების მაკოორდინირებელი ერთეული – SDG-ების საბჭო. საბჭო მრავალი დაინტერესებული მხარისაგან შედგება, თუმცა, არ მოიცავს ყველა რელევანტურ მხარეს. კერძოდ, მისი შემადგენლობა ასეთია:

საბჭოს წევრები არიან	საბჭოს წევრები არ არიან
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	მუნიციპალიტეტები
სექტორული სამინისტროები*	სასამართლო
სსიპ – სტატისტიკის ეროვნული სამსახური	აკადემიური წრე
ადამიანის უფლებათა დაცვისა და	CSO-ები
გენდერული თანასწორობის საკითხებში	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე
პრემიერის თანაშემწე	პირების, ეროვნული უმცირესობებისა
გაეროს, ევროკავშირისა და USAID-ის	და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის
ადგილობრივი წარმომადგენლობები	წარმომადგენლები

*გამონაკლისია საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

¹³ The Sustainable Development Goals Are Coming To Life, United Nations Development Group, 2016; Getting Started with the Sustainable Development Goals, A Global Initiative for the United Nations, 2015.



უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოს ტექნიკური დავალების მიხედვით, საბჭოს მოწვევით, შეხვედრებში შესაძლებელია მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა დაინტერესებულმა მხარემ, მათ შორის, კერძო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა საჯარო უწყებების წარმომადგენლებმა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გაეროს მიხედვით,¹⁴ SDG-ების ყოვლისმომცველი ხასიათიდან გამომდინარე, ფართო ჩართულობა ხელს უწყობს ყველა მიზნობრივი ჯგუფის ინტერესის გათვალისწინებასა და ინკლუზიური პროცესების წარმართვას.

SDG-ების საბჭოს არ აქვს გაცხადებული სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურად იქნება განსაზღვრული დაგეგმილი აქტივობები, ვადები დასაჭირო რესურსები, როგორც მოკლე, ასევე საშუალოვადიან პერიოდში. შესაბამისად, მიზნების განხორციელების კოორდინირების კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, რისკის ქვეშ დგება საბჭოს ეფექტური ფუნქციონირების საკითხი.

თავისუფალი საშუალო ჯგუფები

გამართული კოორდინაციის პროცესის უზრუნველსაყოფად, SDG-ების საბჭოს ინიციატივით შეიქმნა თემატური სამუშაო ჯგუფები. მათი როლია, ინტენსიურად ჩაერთონ მიზნების განხორციელების პროცესში და ადეკვატური მხარდაჭერა გაუწიონ მაკოორდინირებელ ორგანოს. გაეროს განვითარების პროგრამის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოს მიხედვით,¹⁵ სამუშაო ჯგუფების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, მიზანშეწონილია, როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება. სამუშაო ჯგუფის ფორმატში ჩართულობა მხარეებმა უნდა:

- გააანალიზონ, რამდენად პასუხობს მიმდინარე პოლიტიკის დოკუმენტები და გეგმები SDG-ებსა და შესაბამის ამოცანებს. ნაკლოვანებების აღმოჩენის შემთხვევაში, საერთო ძალისხმევით განსაზღვრონ შემდგომი ღონისძიებები;
- მოახდინონ დამატებითი პოტენციური თანამშრომლობის შესაძლებლობების იდენტიფიცირება უკეთესი ეფექტის მისაღებად.

ამასთანავე, გაეროს გლობალური ინიციატივის მიხედვით,¹⁶ ჯგუფების ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭიროა, ცხადად განისაზღვროს სამუშაო ჯგუფების წევრების როლები და თანამშრომლობის ფორმატი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საბჭომ ამ მიმართულებით გადადგა საწყისი ნაბიჯები და ჩამოაყალიბა 4 თემატური სამუშაო ჯგუფი, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს/ორგანიზაციას, მოთხოვნის გამოხატვის შემთხვევაში, მისი გამოცდილებისა და საკითხისადმი რელევანტურობის გათვალისწინებით, შეუძლია გახდეს ჯგუფის წევრი.

¹⁴ The Sustainable Development Goals Are Coming To Life, United Nations Development Group, 2016; Getting Started with the Sustainable Development Goals, A Global Initiative for the United Nations, 2015.

¹⁵ Institutional and Coordination Mechanisms, Guidance Note on Facilitating Integration and Coherence for SDG Implementation, UNDP 2015.

¹⁶ Getting Started with the Sustainable Development Goals, A Global Initiative for the United Nations, 2015.



მიუხედავად ამისა, სამუშაო ჯგუფები არ მოიცავს მუნიციპალიტეტებს და შეხვედრების ოქმების ანალიზით დადგინდა, რომ ისინი არ მონაწილეობენ სამუშაო შეხვედრებში. გარდა ამისა, სამუშაო ჯგუფების ტექნიკურ დავალებებში ცხადად არ არის განსაზღვრული პროცესში ჩართული კონკრეტული ორგანიზაციები და მხოლოდ ზოგადად არის აღწერილი მათი შემადგენლობა. მაგალითად, სოციალური ჩართულობის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაა:

- მთავრობის წარმომადგენლები საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან, სსიპ – სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან, შესაბამისი სამინისტროებიდან და სამთავრობო უწყებებიდან, რაც უზრუნველყოფს ადგილობრივი და ეროვნული პერსპექტივების წარმომადგენლობას;
- სულ მცირე, ორი წარმომადგენელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიდან;
- სულ მცირე, ერთი წარმომადგენელი სამეცნიერო წრეებიდან;
- კერძო სექტორის წარმომადგენელი;
- საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციის, სულ მცირე, ორი წარმომადგენელი.

გარდა ამისა, სამუშაო ჯგუფების საქმიანობის განსაზღვრის მიზნით გადადგმულია მხოლოდ სანყის ნაბიჯები. კერძოდ: (ა) განერილია სამუშაო ჯგუფების მიზნები და ფუნქციები, მაგრამ არ არის განსაზღვრული ცალკეული წევრების უშუალო როლები; (ბ) სამუშაო ჯგუფების მიერ არ არის მომზადებული სამოქმედო გეგმები და - არც აქამდე მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშგება.

ფიგურა 8. ბრაზილიის პრაქტიკა მაკოორდინირებად უწყებასთან დაკავშირებით

ბრაზილიაში შეიქმნა 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელების მაკოორდინირებელი კომისია, რომლის ვალდებულებებია:

- 2030 წლის დღის წესრიგის ეროვნული სამოქმედო გეგმის მომზადება;
- სტრატეგიების, აქტივობებისა და პროგრამების შეთავაზება მიზნების მიღწევისათვის;
- SDG-ების შესრულების მონიტორინგი და პერიოდული ანგარიშების მომზადება;
- უკეთესი პრაქტიკების მოძიება და გაზიარება მიზნების უკეთ მიღწევისათვის.

კომისია შედგება 16 წარმომადგენლისაგან და აერთიანებს ცენტრალურ, ადგილობრივ ხელისუფლებებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს. მაღალი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, კომისიის წევრები აერთიანებენ სხვადასხვა თემატურ უწყებას. მაგალითად, აკადემიური სფეროს წარმომადგენელი მონაწილეობს 67 საგანმანათლებლო ერთეულის სახელით, ხოლო მუნიციპალიტეტების წარმომადგენელი მოიცავს 4000-ზე მეტ ადგილობრივ ხელისუფლებას. ამასთანავე, ბრაზილიის გეოგრაფიისა და სტატისტიკის და ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტები მონაწილეობენ როგორც მრჩეველი ორგანიზაციები. CSO-ები, რომლებიც არ არიან უშუალოდ კომისიის წევრები, ჩართული არიან თემატურ სამუშაო ჯგუფებში. კომისია ფუნქციონირებს როგორც ფორმალისებული სივრცე, სადაც თანამშრომლობენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, რათა ერთობლივი ძალისხმევით მიაღწიონ საერთო მიზნებს.¹⁷

¹⁷ https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/15806Brazil_English.pdf



SDG-ების საბჭოსა და თემატურ სამუშაო ჯგუფებში მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფის გარეშე, რთულდება ყველა რელევანტური მხარის მოსაზრების გათვალისწინება და ღონისძიებების შესაბამისად დაგეგმვა. გარდა ამისა, აქტივობების წინასწარი დაგეგმვისა და წევრების როლების განსაზღვრის გარეშე, დგება SDG-ების საბჭოსა და თემატური სამუშაო ჯგუფების ეფექტური ფუნქციონირების რისკი.

3.1.3 ამოცანაზე პასუხისმგებელი უწყებები სწრაფ ან აჩინი იქნებიან/იქნება და კავშირები ამოცანებს შორის ფრაგმენტულად ან გათავისუფლებული


მიზანბა და ამოცანაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციები

მთავრობის მიერ გამოხატული მზაობა კონკრეტული მიზნის მიღწევასთან დაკავშირებით არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა – SDG-ების წარმატებით განხორციელებისათვის, რამდენადაც მათი მიღწევა ცალკეული უწყებების მიერ განხორციელებულ კონკრეტულ აქტივობებზეა დამოკიდებული. გაეროს მიხედვით,¹⁸ SDG-ების მიღწევის პროცესში ჩართული მხარეების პასუხისმგებლობების არასრული და ბუნდოვანი განსაზღვრა, საფრთხეს უქმნის მიზნების დროულად და ეფექტიანად მიღწევას.

SDG-ების მატრიცის ანალიზის შედეგად გამოვლინდა მასში არსებული ნაკლოვანებები, პასუხისმგებელი უწყებების განსაზღვრის კუთხით. კერძოდ:

- 5 ამოცანის ფარგლებში არსებული 10 ინდიკატორის შემთხვევაში, არ არის განსაზღვრული პასუხისმგებელი ორგანიზაცია;
- 18 ამოცანის ფარგლებში არსებული 30 ინდიკატორის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა წარმოდგენილია როგორც განმახორციელებელი უწყება, რაც კონკრეტული ანგარიშვალდებული ერთეულის იდენტიფიცირებას შეუძლებელს ხდის.

დიაგრამა 9. მიზნები, რომელთა შესაბამის ინდიკატორებთან მიმართებაში განმარტებული უწყება ან საქართველოს მთავრობა, ან იქნებიან/იქნება ან აჩინი¹⁹



¹⁸ Institutional and Coordination Mechanisms, Guidance Note on Facilitating Integration and Coherence for SDG Implementation, UNDP 2015.

¹⁹ მონაცემები ეყრდნობა SDG-ების მატრიცაში წარმოდგენილ ინფორმაციას 2018 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მატრიცა ცოცხალი დოკუმენტია და მასში პერიოდულად შედის ცვლილებები.



მაგალითად, SDG-ების მატრიცის ამოცანა 6.1-ის – „2030 წლისთვის ყველა ადამიანისთვის უსაფრთხო და ხელმისაწვდომ სასმელ წყალზე საყოველთაო და თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა“ მიღწევაზე პასუხისმგებელ უწყებად წარმოდგენილია საქართველოს მთავრობა, თუმცა, რეალურად მას ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, კერძო სექტორთან ერთად. შესაბამისად, SDG-ების მატრიცაში არ არის განსაზღვრული ამოცანა 6.1-ის მიღწევაში რეალურად ჩართული განმახორციელებელი უწყებები და მათი კონკრეტული პასუხისმგებლობები/ვალდებულებები. ამასთანავე, SDG-ს მატრიცის მიხედვით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო არ არის წარმოდგენილი პასუხისმგებელ უწყებად არცერთი ამოცანის მიღწევაზე. გამომდინარე იქიდან, რომ არ მომხდარა კონკრეტული როლებისა და პასუხისმგებლობების ცხადად გამიჯვნა თითოეული ამოცანის კონტექსტში, SDG-ების მატრიცა გარკვეული ამოცანების შემთხვევაში ბუნდოვან ინფორმაციას იძლევა მათ მიღწევაზე კონკრეტული პასუხისმგებელი უწყებების შესახებ.

მოუხედავად იმისა, რომ მიზნების განხორციელება ქვეყნის ეროვნული პასუხისმგებლობაა, თითოეული ამოცანისა თუ ინდიკატორის ფარგლებში, კონკრეტული როლებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრის გარეშე რისკის ქვეშ დგება მათ მისაღწევად სათანადო საპასუხო ღონისძიებების განხორციელება და ნეგატიურად აისახება გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხზე.

კავშირები მიზნებსა და ამოცანებს შორის

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია მიზნების ფარგლებში განსაზღვრულ ამოცანებს შორის არსებული ურთიერთკავშირების, პოზიტიური და ნეგატიური გავლენების იდენტიფიცირება, რათა:

- ერთი მიმართულებით მიღწეულმა პროგრესმა არ დააზიანოს სხვა სფეროები;
- არ მოხდეს სახელმწიფო პროგრამებს შორის გადაფარვა ან არ დარჩეს რომელიმე ამოცანა პროგრამებს მიღმა;
- ხელი შეეწყოს რესურსების მდგრად და ეკონომიურ გამოყენებასა და პასუხისმგებელი უწყებების ინტეგრირებულ/პარტნიორულ მოქმედებებს, სინერგიის ეფექტის მიღების მიზნით.

აღნიშნულის მისაღწევად საჭიროა სიღრმისეული ანალიზი, რათა განისაზღვროს რა მასშტაბისა და ხასიათის გავლენა აქვთ ამოცანებს ერთმანეთზე. ანალიზის შედეგების საფუძველზე, საწყის ეტაპზე უნდა განისაზღვროს მიზნების მიღწევაში ერთობლივად ჩართული ორგანიზაციები, მათი კონკრეტული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები.


მიზნებსა და ამოცანებს შორის ურთიერთკავშირის, შესაძლო სინერგიების ან ნეგატიური გავლენების დადგენის მიზნით უწყებებს შორის თანამშრომლობა საწყის ეტაპზე და კავშირებისა და გავლენების მასშტაბის/ხასიათის შეფასება არ ატარებს სისტემურ და ინტენსიურ ხასიათს.

მაგალითად, SDG-ების მატრიცის მიხედვით, ამოცანა 8.5-ის – „2030 წლისთვის ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ყველა ქალისა და მამაკაცისათვის, მათ შორის, ახალგაზრდებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, პროდუქტიული დასაქმების და ღირსეული სამუშაოს, ასევე თანასწორი ღირებულების სამუშაოსთვის თანასწორი ანაზღა-



ურების მისაღწევად“, ქვეშ განსაზღვრული ყველა ინდიკატორის მიღწევაზე პასუხისმგებელია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, თუმცა, აღნიშნული ამოცანა თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ურთიერთკავშირშია სხვა მიზნების ქვეშ განსაზღვრულ ამოცანებთან, რომელთა მიღწევაზე პასუხისმგებელი არიან სხვა უწყებები.

ღიაზიარაჲ 10. აჲოჲანა 8.5-სა ღა განათლები (4.4), უთანასწორობისა (10.4) ღა შიჲოჲის (2.3) აჲოჲანებს შოჲის ანსაჲული ორბანიჲი უთიანთჲაჲი



თითოეულ ამოცანასა და ინდიკატორზე პასუხისმგებელი საბიუჯეტო უწყებ(ებ)ის ზუსტად და ნათლად განსაზღვრის, მიზნებს შორის არსებული ურთიერთკავშირების იდენტიფიცირებისა და თანამშრომლობის საფუძველზე შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის გარეშე რისკის ქვეშ დგება:

- სხვადასხვა უწყების ინტეგრირებული ფუნქციონირება
- მათ მიერ განხორციელებული პროგრამებით ყველა გამოწვევის დაფარვა;
- საერთო ქმედებებით სინერგიის მიღწევა.

აღნიშნული შემაფერხებელი ფაქტორია მიზნების დროულად და ეფექტიანად განხორციელებისათვის.



3.1.4 SDG-ების განხორციელებისათვის საჭირო რესურსების მოსაზრება განსაზღვრული არ არის

SDG-ების შეუფერხებელი განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია საჭირო რესურსების იდენტიფიცირება, მათ შორის, ფინანსური და ადამიანური რესურსების, ICT ტექნოლოგიებისა და მონაცემების განსაზღვრა, რაც დეკლარირებულია გაეროს რეზოლუციაში.²⁰ საჭირო რესურსების დაგეგმვის ეტაპზე განსაზღვრა, მათი მობილიზება და მიზნობრივად მიმართვა ამცირებს ღონისძიებების არათანმიმდევრულად და არაეფექტიანად განხორციელების რისკს.

SDG-ების საბჭოსგან მიღებული ინფორმაციით, არ განსაზღვრულა მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსები, თუმცა, მიმდინარეობს მუშაობა მონაცემთა წყაროებისა და საბაზისო მონაცემების²¹ იდენტიფიცირების მიმართულებით.

აღნიშნული გარკვეულწილად განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ფინანსურ და არაფინანსურ ინფორმაციას შორის მჭიდრო კავშირის დადგენა მოითხოვს შედეგზე ორიენტირებული დაგეგმვის გამართული მექანიზმების არსებობას, რაც გამოწვევაა ასევე სხვა ქვეყნებისთვისაც.²² შესაბამისად, არ არსებობს როგორც გრძელვადიანი, ასევე საშუალოვადიანი ხედვა, თუ რა კონკრეტულ რესურსებთან არის დაკავშირებული SDG-ებისა და შესაბამისი ამოცანების რეალიზება.

დასკვნა

მთავრობის მიერ გადაიდგა საწყისი ნაბიჯები 2030 წლის დღის წესრიგის ეროვნულ კონტექსტში ინტეგრირების მიმართულებით, მათ შორის:

- შეიქმნა SDG-ების განხორციელების მაკოორდინირებელი უწყება – SDG-ების საბჭო და თემატური სამუშაო ჯგუფები;
- შემუშავდა 2030 წლის დღის წესრიგის ეროვნული დოკუმენტი – SDG-ების მატრიცა;
- გატარდა ღონისძიებები ამოცანებზე პასუხისმგებელი უწყებების განსაზღვრის კუთხით.

აღნიშნული ღონისძიებების მიუხედავად, SDG-ების ინტეგრირების პროცესში არსებობს გარკვეული ნაკლოვანებები, რაც შემაფერხებელი ფაქტორია მათი დროული და წარმატებული განხორციელებისათვის. კერძოდ, არსებული ნაკლოვანებებია:

- მიმდინარე მდგომარეობით, მთავრობას SDG-ების მატრიცისათვის არ მიუცია ფორმალური სახე;
- SDG-ების მატრიცის ფარგლებში განსაზღვრული მიზნები, ამოცანები და ინდიკატორები ფრაგმენტულად არის ინტეგრირებული 2019-2022 წლების BDD-ში, სტრატეგიულ დოკუმენტებში, სამინისტროების 2019-2022 წლების საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებში, 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამულ დანართში, მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების დოკუმენტში;
- SDG-ების საბჭო და თემატური სამუშაო ჯგუფები არ მოიცავს ყველა დაინტერესებულ მხარეს. ამასთანავე, არ არის განსაზღვრული სამუშაო ჯგუფებში ჩართული კონკრეტული მხარეები და ამ ჯგუფებში მათი როლები;

²⁰ The 2030 Agenda, Para. 62 A/Res/70/1.

²¹ აღნიშნული საკითხი დეტალურად წარმოდგენილია შესაბამის ქვეთავში.

²² ფინანსურ და არაფინანსურ ინფორმაციას შორის ურთიერთკავშირების სისტემური ხასიათის ნაკლოვანებებზე, დეტალურად არის წარმოდგენილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ მოხსენებებში ბიუჯეტის შესრულების შესახებ.



- SDG-ების საბჭოსა და სამუშაო ჯგუფებს არ აქვთ გაცხადებული სამოქმედო გეგმები;
- რიგ შემთხვევაში, არ არის განსაზღვრული თითოეული ამოცანის/ინდიკატორის მიღწევაზე ჩართული მხარეები და მათი უშუალო პასუხისმგებლობები;
- ფრაგმენტულად არის იდენტიფიცირებული კავშირები SDG-ების ფარგლებში განსაზღვრულ ამოცანებს შორის;
- არ არის შეფასებული მიზნების განხორციელებისათვის საჭირო რესურსების მოცულობა.

ჩაკომენდაციები

SDG-ების საბჭოს:

- მდგრადი განვითარების მიზნების უნივერსალური და ინკლუზიური ბუნების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მათი განხორციელების პროცესში ჩართული იყოს როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლება. შესაბამისად, საბჭომ უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტების ჩართვა SDG-ების რეალიზაციის პროცესში;
- SDG-ების მატრიცის ქმედითი ჩარჩო-დოკუმენტის ფუნქციის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია SDG-ების საბჭომ მოახდინოს მთავრობის მიერ დოკუმენტის მოწონებისათვის საჭირო ღონისძიებების დროული ინიცირება;
- SDG-ების საბჭოსა და თემატური სამუშაო ჯგუფების ინკლუზიურობისა და ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია:
 - ა) თემატურ სამუშაო ჯგუფებთან ერთად მოხდეს პროცესში მონაწილე ყველა რელევანტური მხარის იდენტიფიცირება, მათი ცნობიერების ამაღლება და ჩართულობის უზრუნველყოფა საბჭოსა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში, თემატიკიდან გამომდინარე;
 - ბ) თემატურ სამუშაო ჯგუფებთან ერთად განისაზღვროს ჩართული უწყებების/ორგანიზაციების როლები და პასუხისმგებლობები;
 - გ) შემუშავდეს SDG-ების საბჭოსა და თემატური სამუშაო ჯგუფების სამოქმედო გეგმები, სადაც წარმოდგენილი იქნება მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში განსახორციელებელი ღონისძიებები, ვადები და საჭირო რესურსები.

SDG-ების საბჭოსა და სამინისტროებს:

- SDG-ების მატრიცაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, SDG-ების საბჭომ და სამინისტროებმა უზრუნველყონ:
 - ა) თითოეულ ამოცანაზე/ინდიკატორზე პასუხისმგებელი კონკრეტული უწყებების იდენტიფიცირება;
 - ბ) მიზნებს/ამოცანებს შორის ურთიერთკავშირების ხასიათისა და მასშტაბების ანალიზი, რის საფუძველზეც განისაზღვრება კონკრეტული ამოცანის მიღწევაში თითოეული უწყების უშუალო პასუხისმგებლობა.
- მიზნებისა და ამოცანების დროული, ეფექტიანი და შეუფერხებელი განხორციელებისათვის, SDG-ების საბჭომ და სამინისტროებმა, SDG-ების მიღწევის პროცესში ჩართულ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, გააანალიზონ და შეაფასონ მიზნების/ამოცანების რეალიზაციისათვის საჭირო რესურსები, მათ შორის: ადამიანური, ფინანსური, ICT ტექნოლოგიები და მონაცემები.



სამინისტროებს:

- სამინისტროებმა უზრუნველყონ SDG-ების მატრიცაში წარმოდგენილი იმ მიზნების, ამოცანებისა და ინდიკატორების სტრატეგიულ და პოლიტიკის დოკუმენტებში, საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებსა და ბიუჯეტის პროგრამულ დანართში ინტეგრირება, რომელთა განხორციელებაში უშუალოდ არიან ჩართულნი.

3.2 SDG-ების განხორციელების მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშების კუთხით არსებული ნაკლოვანებები



3.2.1 SDG-ების შეფასების ინდიკატორების საბაზისო მონაცემები და მონაცემთა წყაროები განსაზღვრულია არასრულად

2030 წლის დღის წესრიგის მიხედვით,²³ SDG-ების შესრულების მუდმივი მონიტორინგი და პროგრესის შეფასება კრიტიკული ფაქტორია მიზნების წარმატებული განხორციელებისათვის, რისთვისაც აუცილებელია სანდო, ზუსტი და ხარისხიანი მონაცემების არსებობა. მონაცემების მოპოვებასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, მიზნების განმახორციელებელ სახელმწიფო უწყებებთან და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურებთან ერთად პროცესში ჩართული იყოს მესამე მხარეც, მაგალითად, კერძო სექტორი, CSO-ები, აკადემიური წრე, კვლევითი ორგანიზაციები და სხვა ჯგუფები. აღნიშნული მხარეების ხელთ არსებული მონაცემები ხელს შეუწყობს ამოცანების მიღწევის სრულფასოვან მონიტორინგს.

მონაცემებთან დაკავშირებული გამოწვევები დგას ბევრი ქვეყნის წინაშე და ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი. კერძოდ, SDG-ების მატრიცის არსებულ ვერსიაში გარკვეული ნაკლოვანებებია და წარმოდგენილი ინფორმაცია ხარისხობრივ გაუმჯობესებას საჭიროებს, მათ შორის, მატრიცა არ მოიცავს:


- 63 ინდიკატორის საბაზისო მონაცემს, რომელთა მიმართებაში უნდა შეფასდეს მიღწეული პროგრესი;
- 14 მონაცემთა წყაროს, რომელთა მეშვეობით უნდა შეგროვდეს მონაცემები.

²³ The 2030 Agenda, Para. 48 A/RES/70/1.




ღიაზრება 11. SDG-ების მატრიცაში საგარეო ინდიკატორებისა და მონაცემთა წყაროების კუთხით არსებული ნაკლებობები მიზნების მიხედვით²⁴

საგარეო ინდიკატორი განსაზღვრული არ არის



მონაცემთა წყარო განსაზღვრული არ არის



SDG-ების მატრიცის მიხედვით, მონაცემების ძირითადი წყაროა (73%) საბიუჯეტო ორგანიზაციები, ხოლო დანარჩენი – საერთაშორისო ორგანიზაციები და კვლევები. მონაცემთა ბაზების ხარისხობრივ გაუმჯობესებაში მესამე მხარესთან დამატებითი მჭიდრო კომუნიკაციის დამყარება და მონაცემების ალტერნატიული წყაროების იდენტიფიცირება მნიშვნელოვანი ფაქტორია არსებული ნაკლოვანებების დროული და ეფექტური აღმოფხვრისთვის.

²⁴ მონაცემები ეყრდნობა SDG-ების მატრიცაში წარმოდგენილ ინფორმაციას 2018 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მატრიცა ცოცხალი დოკუმენტია და მასში პერიოდულად შედის ცვლილებები.

დიაგრამა 12. დანიის პრაქტიკა მონაცემებთან დაკავშირებით

დანიაში SDG-ებთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებასთან არსებულ გამოწვევასთან გამკლავების ერთ-ერთ საშუალებად არასამთავრობო და სახელმწიფო სექტორის თანამშრომლობა გამოიყენება, სტატისტიკის სამსახურის აქტიური მონაწილეობით. აღნიშნული თანამშრომლობა ემსახურება საერთო მონაცემთა ბაზის ფორმირებას, რომლის მეშვეობით შესაძლებელი გახდება SDG-ების განხორციელების პროგრესის უკეთესი მონიტორინგი და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება.²⁵

SDG-ების მატრიცაში მონაცემების კუთხით არსებული ნაკლოვანებები აფერხებს მიზნების შესრულების მონიტორინგის პროცესს, განხორციელებაში არსებული პრობლემების დროულ იდენტიფიცირებასა და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას.

3.2.2 SDG-ების შესრულების ანგარიშგებისა და მონიტორინგის მექანიზმი პრაქტიკაში დანერგული არ არის

2030 წლის დღის წესრიგის მიხედვით,²⁶ მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ კონტექსტში გადმოტანის პარალელურად, მათი წარმატებული განხორციელებისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ზრდისათვის, კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება შესრულების მონიტორინგის, მიღწევების შეფასებისა და ანგარიშგების გამართული მექანიზმის არსებობას.

SDG-ების საბჭოს სრულყოფილად არ შეუმუშავებია ანგარიშგებისა და მონიტორინგის მექანიზმი და პროცედურები. კერძოდ, SDG-ების საბჭოს ტექნიკური დავალების მიხედვით:

- არ არის განსაზღვრული განმახორციელებელი უწყებების საბჭოსთან ანგარიშგების და თვითონ საბჭოს მიერ ანგარიშგების წარმოდგენის ვადები;
- საბჭო პასუხისმგებელია ინფორმაციის შეგროვებაზე, თუმცა, ანგარიშგების ფორმატი არ ავალდებულებს განმახორციელებელ ორგანიზაციებს წარმოადგინონ: (ა) განმარტებები გეგმურ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის არსებული გადახრების შესახებ, (ბ) ინფორმაცია არსებული განსხვავებების აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობებთან დაკავშირებით.

გასათვალისწინებელია, რომ SDG-ების საბჭო მუშაობს მონიტორინგის ვებპორტალის შექმნაზე, სადაც იგეგმება: (ა) მატრიცაში არსებული ინფორმაციის წარმოდგენა, (ბ) განახლებული მონაცემების ატვირთვა მიღწეული პროგრესის შეფასების მიზნით.

²⁵ <https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/16013Denmark.pdf>

²⁶ The 2030 Agenda, Para. 72 A/RES/70/1.



დიაგრამა 13. ბელგიისა და დანიის პრაქტიკები SDG-ების შესრულების მონიტორინგისა და ანგარიშების შესახებ

ბელგიაში, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციის შედეგად, 2017 წლის გაზაფხულზე შემუშავდა ქვეყნის პირველი მდგრადი განვითარების სტრატეგია, რომელშიც განსაზღვრულია მონიტორინგის ფორმატი. კერძოდ, მთავრობა მისი მმართველობის პერიოდში, ორჯერ ახორციელებს ანგარიშგებას მიზნების შესრულების პროგრესთან დაკავშირებით. ასევე ანგარიშგების პროცესში, მთავრობის გარდა, ჩართული უნდა იყოს პარლამენტი, CSO-ები, კერძო სექტორი. აღნიშნული პროცესის მიზანია მიღწეული პროგრესის შეფასება და არსებული გამოწვევების დროული იდენტიფიცირება, რისი გათვალისწინებით მიიღება შემდგომი გადაწყვეტილებები.²⁷

დანიის მთავრობა ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშს სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით, რაც ფარავს 37 ეროვნულ მიზნობრივ მაჩვენებელს. ანგარიში არის საჯარო და წარედგინება პარლამენტს. ამას გარდა, ყოველ 4 წელიწადში ერთხელ, მზადდება პროგრესის შესახებ ანგარიში და კონკრეტულ წლებში ანაცვლებს წლიურ ანგარიშებს. აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია ყოვლისმომცველი ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ; ასევე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა SDG-ების შემდგომი განხორციელების ინიციატივებსა და სამოქმედო გეგმის შესაძლო ცვლილებებს.²⁸

მიზნების განხორციელების მონიტორინგის ფორმატისა და ანგარიშგების პერიოდულობის კუთხით გამართული პროცედურების არარსებობა ხელს უშლის პროგრესის შესახებ სისტემატური, დროული და სრული ინფორმაციის მიღებას, რაც დამაბრკოლებელი ფაქტორია მიზნების წარმატებული რეალიზაციისათვის.

3.2.3 ინფორმაცია მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი

SDG-ების განხორციელების პროცესში მეტი ჩართულობის, გამჭვირვალობისა და მთავრობის ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია 2030 წლის დღის წესრიგის, მისი კომპონენტების, მიღწეული პროგრესის, დაინტერესებული მხარეების როლებისა და შემდგომი შესაძლო თანამშრომლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისათვის.

საბჭოს მიერ ინფორმაციის მიწოდების არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის სათანადო ინფორმირებას. კერძოდ, არსებული მდგომარეობით, საზოგადოებისათვის ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი 2030 წლის დღის წესრიგის, SDG-ების მატრიცის, მასში ჩართული ორგანიზაციებისა და SDG-ების განხორციელების მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესახებ. საბჭოს განმარტებით, ვებპორტალის მეშვეობით იგეგმება ინფორმაციის წარმოდგენა 2030 წლის დღის წესრიგის და მასთან დაკავშირებული ეროვნული პროცესების შესახებ.

²⁷ https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/15721Belgium_Rev.pdf

²⁸ <https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/16013Denmark.pdf>



ღიგნაჲ 14. შვეიცარიისა და კანადის პრაქტიკები SDG-ებთან დაკავშირებული ინფორმაციის წარმოდგენასთან დაკავშირებით

SDG-ების განხორციელების პროგრესის შესახებ ანგარიშების მიზნით, შვეიცარიაში შემუშავდა სპეციალური მონიტორინგის სისტემა MONET 2030. სისტემის მიხედვით, შესაძლებელია ინდიკატორების მეშვეობით პროგრესის საფუძვლიანი სტატისტიკური შეფასება სამივე: ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მიმართულებით.

სისტემა მონიტორინგს უწევს 17 მიზნის ფარგლებში შემუშავებულ 85 ინდიკატორს, ერთმანეთს ადარებს ფაქტობრივ და დაგეგმილ მაჩვენებლებს. პროგრესი დადებითად ფასდება ფაქტობრივი და გეგმური მაჩვენებლების დამთხვევის, ნეგატიურად - ჩამორჩენის და უცვლელად - მცირე (3%-ანი)²⁹ გადახრის არსებობის შემთხვევებში.³⁰ აღნიშნული ტენდენციები სისტემაში წარმოდგენილია სხვადასხვა ვიზუალიზაციის საშუალებით. შესაბამისად, ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს შეუძლია მიიღოს დეტალური ინფორმაცია თითოეული ინდიკატორის შესახებ.

კანადის მთავრობამ შექმნა SDG-ების მონაცემების ცენტრი – ელექტრონული ჟურნალი. ცენტრს სტატისტიკის სამსახური მართავს, ვინაიდან ის არის პასუხისმგებელი მიზნების მიღწევის შესახებ ანგარიშგებაზე. შესაბამისად, სტატისტიკის სამსახური პასუხისმგებელია მონაცემების შეგროვებაზე, ანალიზსა და გავრცელებაზე, პროგრესის მონიტორინგის მიზნით.

მონაცემების ცენტრის მეშვეობით, შესაძლებელია კანადის მიერ 17-ვე მიზანთან მიმართებაში მიღწეული პროგრესის შესახებ ინფორმაციის მიღება. მათ შორის, წარმოდგენილია ინფორმაცია ინდიკატორებით განსაზღვრული მაჩვენებლების ცვლილების შესახებ წლების განმავლობაში.

აღსანიშნავია, რომ მონაცემების დამატებითი წყაროების იდენტიფიცირება კვლავ მიმდინარე პროცესია, რის საფუძველზე განახლებება მონაცემები. გარდა ამისა, სტატისტიკის სამსახური ღიაა ორმხრივი კომუნიკაციისათვის. კერძოდ, დაინტერესებულმა მხარეებმა შესაძლებელია, მაგალითად ელექტრონული ფოსტის საშუალებით სტატისტიკის სამსახურს გაუზიარონ მოსაზრებები SDG-ებთან დაკავშირებული მონაცემების განახლების შესახებ.³¹

SDG-ებთან დაკავშირებით ამომწურავი და მუდმივად განახლებადი ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდების გარეშე არ არის უზრუნველყოფილი გამჭვირვალობა და მთავრობის ანგარიშვალდებულება. ამასთანავე, დაინტერესებული მხარეების სათანადო ინფორმირების გარეშე, რთულდება მათი ჩართვა SDG-ებთან დაკავშირებულ პროცესებში, რაც, თავის მხრივ, მიზნების წარმატებული მიღწევისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

²⁹ 3%-იანი.

³⁰ <http://sdg.iisd.org/news/switzerland-aligns-national-indicator-system-with-2030-agenda/>

³¹ <https://www144.statcan.gc.ca/sdg-odd/index-eng.htm>



დასკვნა

მთავრობამ გადადგა გარკვეული ნაბიჯები SDG-ების მიღწევის მონიტორინგისა და ანგარიშგების ჩარჩოს ფორმირების მიმართულებით მათ შორის:

- განისაზღვრა შეფასების ინდიკატორების, საბაზისო მონაცემებისა და მონაცემთა წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი;
- მიმდინარეობს მუშაობა მონიტორინგის ვებპორტალის პრაქტიკაში დანერგვის მიმართულებით.

მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, არ არის შემუშავებული ადეკვატური მონიტორინგისა და ანგარიშგების მექანიზმი, კერძოდ, არსებული ნაკლოვანებებია:

- SDG-ს მატრიცაში არასრულადაა იდენტიფიცირებული საბაზისო მონაცემები და მონაცემთა წყაროები;
- განსაზღვრული არ არის ანგარიშგების ფორმატი და პერიოდულობა;
- SDG-ების შესახებ გამჭვირვალობის სათანადო დონე უზრუნველყოფილი არ არის, ვინაიდან არ ხორციელდება დაინტერესებული მხარეებისათვის ერთიანი ინფორმაციის მიწოდება 2030 წლის დღის წესრიგის, SDG-ების მატრიცის, მასში წარმოდგენილი მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

რეკომენდაციები

SDG-ების საბჭოსა და სამინისტროებს:

- SDG-ების ფარგლებში განსაზღვრული ამოცანების შესრულების გამართული მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, SDG-ების საბჭომ და სამინისტროებმა, სხვა რელევანტურ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, უზრუნველყონ SDG-ების მატრიცის ყველა ინდიკატორის შესახებ კონკრეტული საბაზისო მონაცემისა და მონაცემთა წყაროს წარმოდგენა.

SDG-ების საბჭომ:

- მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების დროული და ეფექტური მონიტორინგისა და ანგარიშგების მიზნით, SDG-ების საბჭომ შეიმუშაოს მონიტორინგისა და ანგარიშგების ჩარჩო, რაც გულისხმობს:
 - ა) მონიტორინგის ვებპორტალის დროულად დასრულებასა და პრაქტიკაში დანერგვას;
 - ბ) განმახორციელებელი ორგანიზაციების საბჭოს მიმართ ანგარიშგების ფორმატისა და პერიოდულობის განსაზღვრას;
 - გ) მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით, ეროვნული პროგრესის შესახებ ანგარიშგების პერიოდულობის განსაზღვრას.



ბიბლიოგრაფია

სახელმძღვანელოები და პუბლიკაციები:

ბელგიის, ბრაზილიის, დანიის 2017 წლის ნებაყოფლობითი ანგარიშები;

გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციები: 66/309, 69/228, 69/327;

Getting Started with the Sustainable Development Goals, A Global Initiative for the United Nations, 2015;

IDI Guidance on Auditing Preparedness for Implementation of SDGs;

Institutional and Coordination Mechanisms, Guidance Note on Facilitating Integration and Coherence for SDG Implementation, UNDP 2015;

Mainstreaming the 2030 Agenda for Sustainable Development, United Nations Development Group. October, 2015;

The Millennium Development Goals: Lessons Learnt – Josefina Maestu, United Nations Office to Support the Water Decade;

The Sustainable Development Goals Are Coming To Life, United Nations Development Group, 2016;

Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development;

Universality, integration, and policy coherence For sustainable development: early SDG Implementation in selected OECD countries, World Resource Institute, 2016.

ვებგვერდები:

General Assembly Of The United Nations – <http://www.un.org/en/ga/> – უკანასკნელად გადამოწმებულია 21.12.2018;

SDG Knowledge Hub – <http://sdg.iisd.org/> – უკანასკნელად გადამოწმებულია 21.12.2018;



Sustainable Development Goals Data Hub of Canada – <https://www144.statcan.gc.ca/sdg-odd/index-eng.htm> – უკანასკნელად გადამოწმებულია 21.12.2018.

აუდიტორთა ხელმოწერა:
სახელი, გვარი

ხელმოწერა

ნინო ფრუიძე
ბიუჯეტის უფროსი ანალიტიკოსი

გიორგი ჩაკვეტაძე
სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზის
სამსახურის უფროსი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE